დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY

№ 219 "24" 03 2015 წ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

თავჯდომარეს ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ,რომ დუშეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს დუშეთის ბაზრის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე.

გთხოვთ გამოაქვეყნოთ სააგენტოს ოფიციულურ ვებ გვერდზე - www.procurement.gov.ge

პატივისცემით,

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

მოადგილე /თ. უნდილაშვილი/

საქართველო, 1800, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27
27 RUSTAVELI STREET, DUSHETI, 1800, GEORGIA
+995(346)221989
+995(346)221990
WWW.DUSHETI.ORG.GE
GAMGEOBA@GMAIL.COM

საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებელი საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

ქ. დუშეთი 24.03 2015 წ.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

თამაზ უნდილაშვილი – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, კომისიის თავჯდომარე;

საკონკურსო კომისიის წევრები:

თამაზ უნდილაშვილი - გამგებლის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე

ჯანსუღ ხონელიძე - სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი; კომისიის თავჯდომარის მოადგილე

თემურ ეღიკაშვილი - მშენებლობის ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ვლადიმერ კობაიძე - ინფრასტრუქტურის განვითარების, რეაბილიტაციისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი;

ნიკოლოზ დუდაური - სივრცითი მოწყობის და ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი;

ვაჟა ჭინჭარაული - დუშეთის მუნიციპალიტეტის და საკრებულოს სივრცითი, ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

საკონკურსო კომისიის აპარატი

ავთანდილ რაზმაძე- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

მარიამ ზაქაიძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

დღის წერიგი:

დუშეთის ბაზრის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დასამზადებლად, საკონკურსო განცხადების ტექსტის გაცნობა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სპეციალურ ვებგვერდზე განთავსება.

/მომხ. ჯანსურ ხონელიძე/

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საკონკურსო განცხადების ტექსტი, დუშეთის ბაზრის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ და ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 20 იანვრის N39 განკარგულებით დუშეთის ბაზრის შენობის რეაბილიტაცია საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დასამზადებლად თანხის გამოყოფის შესახებ. მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ობიექტების

რეაბილიტაციისათვის საჭირო საუკეთესო პროექტის გამოსავლენად, მიაჩნია კონკურსის ჩატარება და სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება საკითხის შესახებ.

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა და აღნიშნეს, რომ დუშეთის ბაზარი ნამდვილად საჭიროებს რეაბილიტაციას. კონკურსის ჩატარება საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ საუკეთესო პროექტი შენობების რეაბილიტაციისთვის,

კომისიამ გადაწყვიტა:

1. დუშეთის ბაზრის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დასამზადებლად გამოცხადდეს კონკურსი.
2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების თავჯდომარის 2011წლის 10 თებერვლის N 3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის" მე-5 მუხლის შესაბამისად ,უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა თანდართული დოკუმენტებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე /თ. უნდილაშვილი/
საკონკურსო კომისიის წევრები:
/ჯ. ხონელიძე/
/თ. ეღიკაშვილი/
/ვ. კობაიძე/
/ნ. დუდაური/
/ვაჟა ჭინჭარაული/
/ს.პაპიაშვილი/